განკარგულება:**გ-63. 63233596**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის '' 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს III თავის მე-16 მუხლის მე–3 პუნქტის IV თავის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის პროგრამის, ასევე ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის პროგრამა.(დანართი №1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით. (დანართი №2).
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელონებო სკოლა'' 2024 წლის ხარჯი. (დანართი N3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელონებო სკოლა'' 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი. (დანართი №4).
5. დამტკიცდეს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების პადაგოგთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება. (დანართი №5).

დანართი №1

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' პროგრამა

პროგრამის აღწერა და მიზნები

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამა: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

პროგრამის აღწერა:

· მუსიკის შესახებ კომპლექსური ცოდნის მიწოდება,პრაქტიკული მუსიცირების და სხვადასხვა საგნების შესწავლის გზით.

· პროფესიული და ხალხური მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშების გაცნობა.

· მუსიკის მოსმენის უნარისა და ჩვევების ჩამოყალიბება-აღიზარდოს „მსმენელი“.

· ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა.

· მოზარდთა მრავალმხრივი სულიერი განვითარების ხელშეწყობა.

· მოსწავლეთა მიერ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება. ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება.

· ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა.

· მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბება, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამის მიზანია :

· მისცეს მოსწავლეს ფართო ცოდნა ზოგადად სამუსიკო ხელოვნების შესახებ,მისცეს სოლიდური აკადემიური ბაზა.

· გააცნოს მუსიკის მიმართულებათა თეორიული საფუძვლები.

· გააღვივოს მოსწავლის შემოქმედებითობა,განუვითაროს აზროვნება და მისცეს მრავალმხრივი პრაქტიკული უნარები.

· შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

· გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

ღონისძიება:

- მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ-მოყვარულის აღზრდა.
- მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს მუსიკა.
- შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება,
- მომზადება კონკურსებისა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებისათვის.
- გამოსაშვებ და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის მომზადება.
- კონკურსების, ფესტივალების და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები.
- სახელოვნებო სკოლაში 114 მოსწავლეა, (38 ბიჭი და 76 გოგო), ფუნქციონირებს საფორტეპიანო განყოფილება. მათ მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავენ მოტივირებული, კვალიფიციური პედაგოგები.
- ჩვენი სკოლა ანიჭებს მუსიკალური განათლების პირველად საფეხურს საფორტეპიანო დარგში. სწავლება 6 წლიანია.
- გაიცემა სათანადო მოწმობა.

რესურსი:

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირება.

საბოლოო შედეგები

მოსწავლეთა მზადება სახელმწიფო გამოცდებისათვის, დაგეგმილი კონკურსებისათვის და უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლების გამოცდებისათვის.

დანართი N2

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის''

შემოსავლები

2024 წელი ათას ლარებში

№	**შემოსავლები**	**თანხა**
1	სუბსიდია ბიუჯეტიდან	95.4
2	მშობელთა შემოწატანი	7.3
		102.7

დანართი №3

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა

ხარჯები

2024 წელი

ათას ლარი

	ეკ. კლას. კოდი	**ორგანიზაციული კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან**	**2024 წლის ადგილობტივი ბიუჯეტის სუფსიდიით გასაწევი ხარჯები**	**2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები**
1			**ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა**	**102,70**	**95,40**	**7,30**
2			**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**17**	**17**	

2	**2**		**ხარჯები**	**102,70**	**95,40**	**7,30**
2	**2.1**		**შრომის ანაზღაურება**	**95,20**	**87,90**	**7,30**
3	**2.2**		**საქონელი და მომსახურება**	**7,50**	**7,50**	**0,00**

დანართი N4

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'' საშტატო ერთეული 2024 წელი

#	**საშტატო ერთეულის დასახელება**	**საშტატო ერთეულის რაოდენობა**	**ხელფასის რაოდენობა 1 თვეში**	**სულ წლიური ბიუჯეტით**	**საგუთარი შემოსავლი**	**სულ ჯამი**
1	დირექტორი	1	726	8712		8712
2	ბუღალტერი	1	660	7920		7920
3	სპეციალისტი	1	286	3432		3432
4	მნე	1	286	3432		3432
5	ინსტრუმენტის ამწყობი	1	220	2640		2640
6	ბიბლიოთეკარი	1	231	2772		2772
7	დამლაგებელი	1	198	2376		2376
8	პედაგოგი	10	4413	56 600	7300	63 900
	ჯამი	**17**	**7020**	**87 884**	**7300**	**95 184**

დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 114 ბავშვს.

მოსწავლეთა სწავლის ქირა ერთ ბავშვზე თვეში არის 8(რვა) ლარი.

დანართი №5

სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მასწავლებელთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება

	5 წლამდე		**5-10 წლამდე**		**10 წლის ზემოთ**	
	განაკვეთი	**სთ.ღირებ.**	**განაკვეთი**	**სთ.ღირებ.**	**განაკვეთი**	**სთ.ღირებ.**
საშუალო განათლება	**230,38**	**12,8**	**235,62**	**13,09**	**242,85**	**13,49**

სპეციალური საშუალო განათლება	**254,47**	**14,14**	**260,91**	**14,50**	**267,34**	**14,85**
ბაკალავრი	**278,97**	**15,50**	**285,41**	**15,85**	**291,85**	**16,21**
მაგისტრი	**303,50**	**16,86**	**309,93**	**17,22**	**316,35**	**17,57**
კანდიდატი,დოქტორი	**335,87**	**108,66**	**346,15**	**19,23**	**392,69**	**21,82**

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი